ნოდარ ბახტაძე,
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ქვემო ქართლის კლდის სოფლები განვითარებულ შუა საუკუნეებში

ქვემო ქართლის ზოგიერთი მდინარის (ხრამის, მაშავერას, ზურტაკეტის და მათი შენაკადების) ხეობათა კანიონებში ჩვენს მიერ მიკვლეული და შესწავლილია კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, რომელთაგანაც თითოეული ბაზალტოვან ქარაფებში რამდენიმე იარუსად განფენილი, საკმაოდ პრიმიტიული გეგმარების ათეულობით გამოქვაბულისგან შედგება (ნახ. 1-10)*.

როგორც ამ ძეგლთა არქეოლოგიური კვლევით დადასტურდა, მათი ძირითადი ბირთვები ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ ქვაბოვან დასახლებებს წარმოადგენს.[1]

კომპლექსთა შემადგენელი სათავსები კლდის ბუნებრივ ან ხელოვნურად გაფართოებულ ტერასათა გაყოლებაზეა გამოკვეთილი. მათი ფორმები უმთავრესად გეომეტრიულთან ოდნავ მიახლოვებულია, თუმცა არცთუ იშვიათია ოვალისებრი ან ნებისმიერი გეგმის გამოქვაბულები. გვხვდება როგორც განცალკევებული, ისე ერთმანეთთან შიგა გასასვლებითა და გვირაბებით დაკავშირებული ქვაბები. მათი იატაკები პრაქტიკულად ბრტყელია, კედლები და ჭერი კი უსწორო მოცულობებს ქმნის. მიუხედავად ამისა, ყოველი ქვაბის სიმაღლე გამართული ადამიანის დგომაზეა გათვლილი. ქვაბების ფართობები, მათი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, საკმაოდ განსხვავებულია: 4-5 კვ.მ-დან 15-20 კვ.მ-მდე. ეს ძეგლები სტრუქტურულად და გენეტიკურად მეტად ახლოს დგას ხმელთაშუა ზღვის აუზის ადრესამიწათმოქმედო და ბრინჯაოს კულტურათა წიაღში შექმნილ გრანდიოზულ საცხოვრებელ-სამარხ კომპლექსებთან.

ათასწლეულზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიტოვებული და მეტად ეპიზოდურად გამოყენებული ეს კომპლექსები, განვითარებულ შუა საუკუნეებში ხელმეორედ იქნა ათვისებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი დიდი უმრავლესობა ამჯერადაც საერო საცხოვრებლებად, ე.წ. "კლდის სოფლებად" იყო გამოყენებული.[2]

ვინაიდან ამ ძეგლების შუა საუკუნეებში რეოკუპაციის ხასიათის ჩვენეულმა განსაზღვრამ გარკვეულ სამეცნიერო წრეებში ორჭოფობა გამოიწვია, გადავწყვიტეთ უფრო ვრცლად შევჩერდეთ ამ საკითხზე.

გამოქვაბულთა ეს უძველესი კომპლექსები რომ ინტენსიურად ყოფილა ათვისებული შუა საუკუნეებში, ეს მათი დათვალიერებითაც ჩანს: კომპლექსების შემადგენელ ქვაბთა თითქმის ყოველ ჯგუფში შეინიშნება დროთა განმავლობაში ჩამონგრეული საფასადო ნაწილების აღმდგენი ქვითკირის ან ქვის უბრალო წყობის (სუსტ შემკვრელზე გათვლილი) კედლები, შედარებით იშვიათად კი საფორტიფიკაციო ელემენტებით აღჭურვილი ქვითკირის მინაშენები (გოდოლები, საბრძოლო ბაქნები, ისრის სატყორცნი ამბრაზურები), რომლებიც ქართული

---

* თანდართული ნახაზები ეკუთვნის ავტორს.

[1] ნ. ბახტაძე, ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991.

[2] ამ უძველეს კომპლექსთა ერთი ნაწილი ამავე ეპოქაში გამოყენებულ იქნა უდაბნო-მონასტრებად და თავდაცვითი მიზნით (ციხე-ქვაბებად და სახიზრებად).

ხუროთმოძღვრების ისტორიაში მიღებულ ნებისმიერ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, დანამდვილებით განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობებია.[3]

როგორც ჩანს, ქვაბებზე მიშენებულმა სწორედ ასეთმა საფორტიფიკაციო სისტემებმა იქონია გავლენა ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებაზე, რომელმაც ქვემო ქართლის აღნიშნული ქვაბთა კომპლექსები, შუა საუკუნეების სახიზარ-სამალავებად მიიჩნია.[4] შემდგომ, ეს ძეგლები, ამავე ნიშნით, ციხე-ქვაბების სისტემად ჩათვალა გეოლოგმა კ. ჯავრიშვილმაც.[5] აღნიშნულ გამოქვაბულთა კომპლექსებს სახიზრების სისტემებად ასევე მიიჩნევს გ. გაფრინდაშვილი.[6]

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი შუა საუკუნეების საქართველოში შექმნილი თავდაცვითი ქვაბების მნიშვნელოვანი ნაწილი.[7] ასეთი სახიზრებისა და ციხე-ქვაბების მთავარი ნიშნებია: მიუვალობა (მათში შესვლა თოკების და ასაწევი კიბეების საშუალებით ხდებოდა) და ტევადი სივრცეები, სათავსების ფუნქციური დიფერენციაციის გარეშე. მათი ერთადერთი მიზანი იქ თავშეფარებულ ადამიანთა ჯგუფების მინიმალური საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების უზრუნველყოფაა.

ქვემო ქართლის აღნიშნულ ქვაბთა კომპლექსები, სრულიად საპირისპირო ნიშნებით ხასიათდება: დამატებითი საფორტიფიკაციო ნაგებობების გარეშე, აქ სრულიად არ ყოფილა დაცული მიუვალობის პირობა: კომპლექსების შემადგენელი ქვაბთა ჯგუფები ძირითადად ქარაფების ქვედა რეგისტრებშია განლაგებული, პირველი იარუსები კი სულაც კლდოვანი მასივის ძირშია გამოკვეთილი. განსაკუთრებულ სიძნელეს არც ზედა იარუსების ქვაბებში მოხვედრა წარმოადგენდა – მათკენაც მოხერხებული ტერასული გზები მიემართებოდა (ნახ. 1-3, 10).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა არქიტექტურულმა და არქეოლოგიურმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ შუა საუკუნეებში ამ კომპლექსებში განხორციელებული ინტენსიური რეკონსტრუქციის მიზანი სრულიადაც არ ყოფილა სახიზრებისა და ციხე-ქვაბების სისტემების მოწყობა. როგორც გამოირკვა, აღნიშნულ რეოკუპაციას იმ პერიოდისთვის შემორჩენილი თავდაპირველი, აშკარად კლდის საცხოვრებლების ერთობლიობაზე მიმანიშნებელი გეგმარებითი პრინციპების მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია: უძველესი ქვაბების დაზიანებული ფასადები ქვის კედლებით მეტწილად კვლავ თავდაპირველი კონფიგურაციის გათვალისწინებით აღუდგენიათ, რაც მათი ახალი, თავდაცვითი ფუნქციისადმი მისადაგების მცდელობას გამორიცხავს. უფრო მეტიც: ქვაბ-სათავსებს, რომლებმაც დაუზიანებელი სახით მოაღწიეს შუა საუკუნეებამდე, ამ ხანაში მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია პრაქტიკულად აღარ განუცდია.

რა შეიძლება ყოფილიყო ამ მოვლენის მიზეზი? ძნელი წარმოსადგენია, რომ შუა საუკუნეების სოფლების მოწყობისას, მშენებლებს ბრინჯაოს ხანის ვიწრო და არასწორი გეომეტრიული ფორმის სათავსები თავიანთი გეგმების განხორციელებისათვის იდეალურად მიეჩნიათ. ახალი მობინადრეები ქვაბოვანი სათავსების გეგ-

---

[3] ვ. ბერიძე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I, თბ., 1983. П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1969.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959.

[5] კ. ჯავრიშვილი. ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, 2, თბ., 1963, გვ. 5-19.

[6] გ. გაფრინდაშვილი, ძველი ქართული კულტურის კვლევის სპელეისტიკური პრობლემები და გარეჯის უდაბნო. სპელეოლოგთა XII სამეცნ. სესია, თბ., 1977, გვ. 3-12.

[7] გ. ლომთათიძე, ხვამლის ციხე-ქვაბი, როგორც არქეოლოგიური ძეგლი. სპელეოლოგთა VII სამეცნ. სესია, თბ., 1969. გვ. 26-29; გ. გაფრინდაშვილი, თრეხვის ქვაბები. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5. თბ., 1990, გვ. 375-377.

მარებას თავისი ეპოქის სტილის მიხედვით რამდენადმე მაინც შეცვლიდნენ, რომ არა ერთი გარემოება: უძველესი ქვაბები მეტად მკვრივი გეოლოგიური აგებულების, ძირითადად ბაზალტის ქანებშია გამოკვეთილი. ადრეული მეტალურგიული კულტურის მატარებელი ხალხებისთვის კარგად ცნობილი მეთოდით – ქანების გახურებაგაცივებით გაჩენილ ბზარებში ხის სოლების ჩაჭედებით და გამონგრევით (ამ სოლების ნაშთები ალაგ-ალაგ დღესაც შეინიშნება განსაკუთრებით მშრალ ქვაბებში).[8] ბუნებრივია, განვითარებულ შუა საუკუნეებში ქვაბთა კვეთის ეს უაღრესად შრომატევადი მეთოდი დაკარგული თუ არა, არარენტაბელურად მიჩნეული მაინც იქნებოდა – ამ ხანის საქართველოში ხომ ქვაბების ადვილად დასამუშავებელ ქანებში კვეთა იყო საყოველთაოდ გავრცელებული, ბაზალტოვანი კლდეები კი ლითონის იარაღსაც მეტად ძნელად ემორჩილება. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქვემო ქართლის ქვაბთა უძველესი კომპლექსების რესტავრატორები, თავიანთთვის სასურველი სივრცული გეგმარების მისაღწევად, პრაქტიკულად მხოლოდ ქვის კედლებით მანიპულირებდნენ, ახალი მოცულობების კვეთას კი მაქსიმალურად არიდებდნენ თავს.

ძველი ქვაბების რეკონსტრუქციის გარეშე გამოყენებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა აგრეთვე უძველესი საცხოვრებელი კომპლექსებისა და მათ ბაზაზე ახლად ფორმირებული კლდის სოფლების ფუნქციურ თანხვედრას – ასეთ შემთხვევაში ხომ სათავსთა ადაპტირების საჭიროება ნაკლები იქნებოდა.

იმ დასკვნას, რომ აღნიშნული ქვაბებისთვის შუა საუკუნეების რეკონსტრუქციას მინიმალური კვალი დაუტოვია, გარდა არქიტექტურული ანალიზისა, მხარს უჭერს შემდეგი ფაქტიც: ქვაბ-სათავსთა უმრავლესობაში, შუა საუკუნეებში ინტენსიურად ათვისების მაჩვენებელი მძლავრი კულტურული ფენების აღების შემდეგ, ამ ეპოქის იატაკების მოტკეპნილობების ქვეშ, სათავსთა გეგმის იმავე პერიმეტრის ფარგლებში, გარკვეული რაოდენობით მაინც დასტურდება ხოლმე ბრინჯაოს ხანის ნივთიერი მასალის ფრაგმენტები (შედარებით იშვიათად კი ცხოვრების პირველი ფაზების ხელუხლებლად შემორჩენილი კულტურული ფენებიც).[9]

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ასეთ კომპლექსებში შუა საუკუნეებში განთავსებული სოფლები, ფუნქციურად დაახლოებით ისევე იყო დიფერენცირებული, როგორც უძველესი ტომების ქვაბოვანი დასახლებები 2-3 ათასწლეულის წინ.

ქვედა იარუსებზე, პრაქტიკულად ქარაფების ძირში გამოკვეთილი მოზრდილი, კლდის სიღრმისკენ მარტივად წაგრძელებული გეგმის, ერთმანეთისგან იზოლირებული, სუსტად განათებული გამოქვაბულები შუა საუკუნეებშიც უთუოდ სამეურნეო დანიშნულების სათავსებს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მათში მტკვრის შუა წელის კლდის სოფლებიდან ცნობილი ტიპის, კლდეში ნაკვეთი სპეციალური მოწყობილობები (ბაგები)[10] შემორჩენილი არ არის, დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათის მიხედვით (მაგ., ბზანარევ მიწაში მიკვლეულ კერამიკულ მასალაში მოზრდილი, სქელკეციანი ჭურჭლის სიჭარბეა), თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათი უმეტესობა შინაური პირუტყვის სადგომებად გამოიყენებოდა; ნაწილი კი, ალბათ, საქონლის საკვების ან სოფლის მეურნეობის პროდუქტების საცავებს წარმოადგენდა.

---

[8] გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებში. სმა მოამბე, XIII, თბ.,1952, გვ.183-190.

[9] ნ. ბახტაძე, ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, გვ. 45-46.

[10] გ. გაფრინდაშვილი, XI-XII სს. ანანაურის კლდის სოფელი ვარძიის ქვაბთა ანსამბლში. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, I, თბ., 1963, გვ. 91-148.

კომპლექსების ზედა იარუსები გაცილებით უფრო რთული გეგმარებითი სტრუქტურის ქვაბ-სათავსებისგან შედგება. აქ ძალზე ხშირად გვხვდება ერთმანეთთან შიგა გასასვლელებით ან კარით დაკავშირებული, გეომეტრიულთან მიახლოებული ფორმის, სარკმლისებრი ხვრელებით განათებული ქვაბების ერთობლიობები, რომლებსაც არცთუ იშვიათად დამხმარე სათავსები და ნიშა-ფართებიც გააჩნიათ დამატებით (ნახ. 6, 8). ამ ტიპის ქვაბთა ჯგუფების ხუროთმოძღვრულმა და არქეოლოგიურმა კვლევამ დაგვანახა, რომ ისინი როგორც ცხოვრების თავდაპირველ ეტაპზე, ისე განვითარებულ შუა საუკუნეებში, უშუალოდ საცხოვრებელი სათავსების მოვალეობას ასრულებდა. ამ საცხოვრებელ ქვაბთა ჯგუფებში აშკარად შეინიშნება დიფერენციაცია სხვადასხვა ფუნქციური ნიშნით (საძილე, საკუჭნაო, სამზადი).

გასარკვევი რჩება აღნიშნულ კომპლექსებში აქა-იქ ჩართული, საფორტიფიკაციო ელემენტებით აღჭურვილი ქვაბნაშენების დანიშნულება. როგორც ჩვენმა კვლევამ დაგვანახა, ეს სისტემები თუმც მეტად მრავალფეროვანი ფორმებითა და განსხვავებული მოცულობებით ხასიათდება, მაგრამ გარკვეულ კანონზომიერებებს მაინც ემორჩილება.

უპირველეს ყოვლისა ნათელი გახდა, რომ ქვაბები ან ქვაბთა ნაშთები, რომლებიც დამატებითაა გამაგრებული ასეთი საფორტიფიკაციო სისტემებით, კომპლექსის შემადგენელი სხვა საცხოვრებელი ჯგუფებისგან არც ზომით და არც გეგმარებითი თავისებურებებით პრაქტიკულად არ გამოირჩევა: ციხე-ქვაბებად ადაპტაციასთან დაკავშირებით, მათი ტევადობის გაზრდის მიზნით დამატებითი მოცულობები არ გამოუკვეთიათ.

ამ ძეგლთა საფორტიფიკაციო თვალსაზრისით მიმოხილვისას იკვეთება კიდევ ერთი გარემოება: მრავალიარუსიან და მრავალსათავსიან კომპლექსებში ჩართულ ასეთ ციხე-ქვაბებს, ძალზე ხშირად მთელი კლდის სოფლის დამცველი, სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრის პრეტენზია არ გააჩნია და მათი ერთადერთი დანიშნულება უშუალოდ ამ ქვაბნაშენთა ბინადრების ან მათში თავშეფარებული პირების დაცვა იქნებოდა (ნახ. 7). მეორე მხრივ, კომპლექსებში გვხვდება მთელი სოფლის მისადგომებზე გაბატონებული ციხე-ქვაბებიც და საერთო სარგებლობის ტერასული გზების ჩამკეტი გოდოლ-ბურჯებიც.

ვფიქრობთ, რომ „ინდივიდუალური" ციხე-ქვაბები ამავე სოფლების მკვიდრი, სოციალურად დაწინაურებული პირების საკუთრებას წარმოადგენდა: შესაძლოა, ასეთი ნაგებობების ფუნქცია წვრილი აზნაურების სოციალური სტატუსისთვის აუცილებელი ციხის ან კოშკის ანალოგიური იყო.[11] ცხადია, ასეთი ციხე-ქვაბები, საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, სოფლის სხვა მცხოვრებთა თავშესაფარ სიმაგრედაც იქცეოდა ხოლმე.

წარმოდგენილი კომპლექსების არქეოლოგიური კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული (ორივე კატეგორიის) ციხე-ქვაბებისა და კომპლექსთა შემადგენელი რიგითი, თავდაცვით ელემენტებს სრულიად მოკლებული ქვაბ-საცხოვრებლები სინქრონულად ფუნქცირებდა სულ ცოტა ერთი საუკუნის განმავლობაში, ამ რიგის სამოსახლოებზე ინტენსიური ცხოვრების პრაქტიკულად ერთდროულად შეწყვეტამდე. როგორც საფორტიფიკაციო მნიშვნელობის ქვაბნაშენების, ისე საცხოვრებელი და სამეურნეო ქვაბ-სათავსების იატაკების სულ ზედა, ე. ი. შუა საუკუნეების ფენებში, პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურ

---

[11] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 17-18.

სტრატიგრაფიულ ვითარებაში, დავადასტურეთ დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში (XII–XIV სს.) დამზადებული ნივთიერი მასალის ნიმუშები.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, მრავალი დამატებითი არგუმენტი გამოავლინა იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ქვემო ქართლის ქვაბთა კომპლექსები, შუა საუკუნეების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაციონარულ საერო საცხოვრებლებად, კლდის სოფლებად გამოიყენებოდა.

არქეოლოგიურად მოსინჯულ თითქმის ყველა ქვაბში შუა საუკუნეებში სპეციალურად მოწყობილი იატაკები აღმოჩნდა. ქვაბთა უსწორმასწორო, კლდოვანი ძირები მიწით ან წვრილი ღორღით მოუსწორებიათ და თიხით მოუტკეპნიათ, ზოგი კი მოუკირწყლავთ. ქვაბების უმეტესობაში კედლების მიწით დაფარული ნაწილები, თიხით ან ნამჯანარევი ბათქაშით შელესილი აღმოჩნდა, რაც იმას მეტყველებს, რომ სათავსები ადრე მთლიანად იყო შელესილი.

ამ ქვაბებში სოფლების ფუნქციერების დამადასტურებელი ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცებაა შუა საუკუნეებში რეოკუპირებულ თითოეულ კომპლექსში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დადასტურებული თონე-კერიები. ეს კომბინირებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი, რომლებიც სამმაგ მიზანს: სათავსთა გათბობას, პურის გამოცხობას და ცხელი საკვების დამზადებას ემსახურებოდა, არქეოლოგიურად შესწავლილ თითქმის ყოველ, საცხოვრებლად ადაპტირებულ ქვაბთა ჯგუფში აღმოჩნდა. თონეები თიხისაა, უფრო ხშირად ადგილზე გამომწვარი (როგორც ჩანს, ადგილზევე ამოყვანილი), თუმცა გვხვდება კერამიკულ ქურაში გამომწვარი და აქ ჩადგმული ნიმუშებიც. ისინი კონუსის ფორმისაა. ზოგიერთ ნიმუშს პირი გადმოკეცილი და მარტივი ჭდეული ორნამენტით შემკული აქვს. ამ ტიპის თონე-კერებს შუა საუკუნეების საქართველოს მრავალ განათხარ ძეგლზე მოეპოვება პარალელები (გუდარეხი, დმანისი, რუსთავი, თბილისი).[12] ყველა მათგანი XI–XIV საუკუნეებით თარიღდება.

ამ კომპლექსებში გვხვდება სხვა ტიპის გასათბობი მოწყობილობებიც – დაბალი (20 სმ-მდე სიმაღლის), წრიული გეგმის, ადგილზე გამომწვარი თიხის კერიები, რომლებიც, ცხადია, პურის საცხობად არ გამოდგება. ჩვენი დაკვირვებით, ასეთი გასათბობი კერიები უფრო იმ სათავსებში ეწყობოდა, რომლებიც ადამიანთა მიერ საკვების დამზადება-მიღებასთან არ იყო დაკავშირებული (მაგ., საწოლ ოთახებში ან საქონლის სადგომ გომურებში). განვითარებული შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიური ძეგლებიდან ანალოგიები მათაც მოეძებნათ.[13]

თავისთავად, ასეთი სტაციონარული საკვების დასამზადებელი და გასათბობი მოწყობილობები (ზოგჯერ ორნამენტირებულებიც), რომლებიც ლამის ყოველ

---

[12] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958; ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 18.

[13] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 69; ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის... გვ. 16-29.

[14] უფრო მეტიც, რამდენიმე ქვაბ-სათავსში დავადასტურეთ ერთსა და იმავე სათავსში არსებული თონე-კერიების 2-ჯერ და 3-ჯერ განახლების შემთხვევაც კი – გამომწვარი თიხის ეს მოწყობილობები დროთა განმავლობაში, ექსპლუატაციისას დაზიანებულა და მათი შეცვლა იქვე ამოყვანილი (ან ოდნავ გადანაცვლებული) ანალოგიური თონე-კერიით გამხდარა საჭირო. ასეთი მოწყობილობის მოხმარების საშუალო ვადად 5 წელიც რომ ვიანგარიშოთ (მინიმალური დრო), ერთსა და იმავე ადგილზე 3-ჯერ ახალი თონე-კერიის ამოყვანას ათეულზე მეტი წელი დასჭირდებოდა, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ კომპლექსებში მხოლოდ დროებით თავშეფარებული მოსახლეობის ცხოვრებას.

მეორე ქვაბშია შემორჩენილი, აღნიშნულ ეპოქაში ამ კომპლექსების პერიოდულად, მხოლოდ დროებით თავშესაფრად გამოყენების ვერსიას მეტად საეჭვოს ხდის.[14]

აღნიშნულ ქვაბთა კომპლექსებში დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში, მუდმივი საერო საცხოვრებლების, სოფლების ფუნქცირებაზე მეტყველებს აგრეთვე მათი არქეოლოგიური კვლევის შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაკეთობანი. განათხარი ფართობების სტრატიგრაფიამ დაგვარწმუნა, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ნივთები აღნიშნულ ქვაბ-სათავსთა კულტურულ ფენებში ძირითადად შემდეგი პროცესების წყალობითაა მოხვედრილი: ა) ყოფა-ცხოვრებისას ექსპლუატაციაში მყოფი ნივთების დროთა განმავლობაში მწყობრიდან გამოსული ნაწილის (ძირითადად მათი ფრაგმენტების) იატაკებში შემთხვევით ჩატკეპნის ან გაუქმებულ სამეურნეო ორმოებში ჩახვეტის შედეგად; ბ) მტრის მიერ კომპლექსების დარბევისას მომხვდურთათვის უსარგებლო ნივთების იატაკებზე მიმოფანტვის შედეგად (ნივთიერი მასალის ეს კატეგორია იმ შემთხვევაშია ხოლმე ფაქტიურად ხელუხლებლად შემონახული, თუკი შემდგომ ეპოქებში დასახლებაში ინტენსიური ცხოვრება აღარ აღდგენილა).

ქვემო ქართლის ქვაბთა კომპლექსებში ამ ორივე გზით მოხვედრილი ნივთების წყება ტიპოლოგიურად ერთმანეთის იდენტურია და დიდად არც დამზადებამოხმარების საკარაულო ქრონოლოგიური კლასიფიკაციით განსხვავდება.

წარმოვადგენთ აღნიშნულ ქვაბ-სათავსებში მიკვლეული ყველაზე ტიპიური ან განსაკუთრებით უნიკალური ნაკეთობების არასრულ აღწერა-ჩამონათვალს ჩვენი კომენტარითურთ, მათი ფუნქციური და ქრონოლოგიური კუთვნილების შესახებ.

ქვემო ქართლის ამ კლდის ძეგლების ქვაბ-სათავსთა იატაკებზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებულ ნივთიერ მასალას უმთავრესად თიხის ნაწარმი შეადგენს. ეს ნაკეთობანი მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლითაა წარმოდგენილი. მოუჭიქავი თიხის ნაწარმი გაცილებით ჭარბობს მოჭიქულს. თავის მხრივ, მოუჭიქავი კერამიკიდან შეიძლება გამოიყოს უბრალო ფერადკეციანი, წერნაქით დაფარული და მოხატული ჭურჭელი.

მოუჭიქავი თიხის ჭურჭლიდან აქ ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი ნაკეთობების ფრაგმენტები:

1. წითლად გამომწვარი დოქები, კვერცხისებრი მუცლით და მაღალი ყელით. ზედაპირები მოწერნაქებულია. შემკულია სველ თიხაზე ამოკაწრული „თევზიფხური" ორნამენტით ან პარალელური, რელიეფური ზოლებით. ზოგიერთ ეგზემპლარს ვერტიკალურად ნაპრიალები ზოლებიც დაუყვება.
2. ღია ყავისფერი, სქელკედლიანი, მოზრდილი ხელადები და ჩაფები განიერი პირით, ძირსა და მხარზე მიძერწილი ბრტყელი ყურით.
3. წითლად და ყავისფრად გამომწვარი სხვადასხვა ზომის ჯამები და ფიალები. ზოგიერთ მათგანს ბორბლისებრი, გამოყვანილი ქუსლები აქვს; ქიმსა და გვერდს შორის გადასვლა გლუვია, ბაკოები ბრტყელია ან ჩაღარული. ჯამების მეორე ნაწილს ბრტყელი ძირები, ძაბრისებრ გადაშლილი კალთები და ვერტიკალური ბორტები აქვს. კალთისა და ბორტის შეერთების ადგილზე წიბო შემოუყვება.
4. სხვადასხვა ზომის თეფშები, ძლიერ გადაშლილი გვერდებით და შესქელებული პირებით. შიდა პირი უმეტესად წითელი წერნაქითაა შეღებილი.
5. სხვადასხვა ფერის, განსხვავებული ზომის ქილები. ისინი დაბალყელიანია, აქვთ განიერი მუცლები, გადმოკეცილი პირები და ბრტყელი ძირი. მრავალ ეგზემპლარს პირთან ახლოს, მუცელზე წმინდა სავარცხლით ამოკაწრული ჰორიზონტული ზოლები შემოუყვება.

6. თეთრად შეღებილი, თხელკეციანი პატარა ჭინჭილები, რომლის პირ-ყელი და მუცელი მოხატულია შავი ზოლებით, მათ შორის კი ტალღისებრი წითელი საღებავით.

გარდა ჩამოთვლილი სახეობებისა, გამოქვაბულებში ხშირად გვხვდება სხვაგვარი მოუჭიქავი ჭურჭელიც: მოზრდილი ღერგები, შავად გამომწვარი ე.წ. „სამზარეულო" ჭურჭელი, სარქველები, ჭრაქები და სხვ.

მოჭიქული თიხის ჭურჭლიდან კომპლექსებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შემდეგი სახეობები:

1. კარგად განლექილი, წითლად გამომწვარი თიხის ჯამები, გამოყვანილი, ბორბლისებრი ქუსლით, ჩაღარული ან ბრტყელი ბაკოებით; გადავლებული აქვთ თეთრი ანგობი, რომელზედაც ამოკაწრულია მარყუჟისებრი სახეები ან პარალელური ხაზები; მოჭიქულია მწვანედ, ფირუზისფრად, სოსანისფრად ან ღვინისფრად.
2. ასეთივე ფორმის ჯამები, თეთრ ანგობზე ამოკაწრული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით, ზოგჯერ ფრინველთა და ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით. ორნამენტი და გამოსახულებები მრავალფერადაა მოხატული, გადავლებული აქვთ უფერო ჭიქური.
3. ასეთივე ანგობირებული ჯამები, ამოკაწრული მცენარეული ორნამენტით შემკული, რომელიც მწვანედაა მოხატული. გადავლებული აქვთ სუსტი, უფერო ჭიქური.
4. წითელკეციანი, ზიგზაგისებრი ანგობის ზოლებით მოხატული, მწვანედ მოჭიქული დოქები.
5. ძირგამოყვანილი, ბაკოჩაღარული, თეთრ ანგობზე ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული სამარილეები.
6. ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ნიუარისებრი ჭრაქები.

კერამიკული ნაწარმის აღწერილ ნიმუშებს მრავალი პარალელი ეძებნებათ საქართველოს XII–XIV საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან (მაგ., დმანისის, თბილისის, რუსთავის, ჟინვალის, თელავის ნაქალაქარების, გუდარეხის და დავით გარეჯის მონასტრების განათხარი მასალებიდან).[15]

აღნიშნული ძეგლების არქეოლოგიური კვლევისას, განსხვავებით ამავე რეგიონის მონასტრებად ადაპტირებული უძველესი გამოქვაბული კომპლექსებისგან, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის ფაიანსის ნაკეთობათა ნიმუშები, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმ აზრის სასარგებლოდ, რომ შუა საუკუნეებში ამ ქვაბებში, იშვიათად თუ ბინადრობდნენ მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენლები.

სამაგიეროდ, ამ ძეგლებზე დიდი რაოდენობით მივაკვლიეთ ქართული შუა საუკუნეების არქეოლოგიისათვის საკმაოდ არატრადიციულ, უნიკალური სახის ნივთიერ მასალას – ორგანული ნივთიერებებისგან დამზადებულ ნაკეთობებს. ქვემო ქართლის გამოქვაბულთა კომპლექსებს, ამ რიგის ნივთიერი მასალა გამორჩეულად უხვად შემდეგი გარემოების გამო შემოუნახავს: ამ კომპლექსთა უმრავლესობაში, ცხოვრების საბოლოო ფაზა უეცრად ჩანს შეწყვეტილი მტრის გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად. ამის შემდეგ მათში ცხოვრება აღარ აღორძინებულა და აღნიშნული ტრაგედიის დროს იატაკზე მიმოფანტული სხვადასხვა ნაკეთობანი, მათ შორის ორგანული ნივთიერებების ნაწარმიც, ქვაბებში საუკუნეების განმავლობაში შემოტანილმა მშრალმა, მტვრისებრმა მასამ „დააკონსერვა".

15. ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI–XIII სს. საქართველოში, თბ., 1956.; ლ.მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბ. 1954.; მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX–XIII სს., თბ., 1969 და სხვა.

გამოქვაბულთა ამ კომპლექსებში (ისევე როგორც მონასტრებად გამოყენებულ ქვაბებში), აღწერილ სტრატიგრაფიულ ვითარებაში იქნა აღმოჩენილი შუა საუკუნეების არქეოლოგიური ქსოვილების, მათ შორის ხალიჩა-ფარდაგების ფრაგმენტების უმდიდრესი კოლექცია, რომელსაც ბოლო წლებში, სხვადასხვა რანგის საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე დიდი რეზონანსი ჰქონდა.[16] ძალზე საყურადღებოა აგრეთვე სამშვილდის ქვაბებში დადასტურებული, ბავშვის, თითქმის მთლიანად შემონახული, ტილოს პერანგი და მამაკაცის ქუდი.

გამოქვაბულ კომპლექსებში აღმოჩენილ ამ „არატრადიციულ" ნივთიერ მასალაში ყურადღებას იქცევს ტყავის ფეხსაცმლის ნიმუშებიც. ძალზე კარგადაა შემონახული მოზრდილი ადამიანისა და ბავშვის ჭვინტიანი ქოშები.

ქვემო ქართლის გამოქვაბულ კომპლექსებში მოპოვებული ნივთიერი მასალიდან მრავალფეროვნებითა და რაოდენობით გამოირჩევა ხისგან დამზადებული ნივთებიც. აქ წარმოდგენილი ხის ნაკეთობები მოხმარებული ყოფილა როგორც შინაურ ყოფაში, ისე მეურნეობაში. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ ანალოგიებთან მეტად ახლოს დგას განვითარებული შუა საუკუნეების ფენებში აღმოჩენილი შემდეგი ხის ნივთები: მომკელის სათითეები, ორმხრივ მწკრივიანი სავარცხლები, თითისტარები, კვირისთავები, ძაფის დასახვევი კოჭები, სხვადასხვა ფორმის კოვზები, დანის ტარები, ხელსაქმესთან დაკავშირებული მინიატურული ზარდახშები, ხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სათამაშოები და სხვა მრავალი.

ქვემო ქართლის აღნიშნულ კლდის სოფლებში ცხოვრების ბოლო ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩოების უტყუარად განმსაზღვრელ საბუთს წარმოადგენს აგრეთვე მათი არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა. ამ ძეგლების ქვაბოვან სათავსებში სულ მიკვლეულია სპილენძის 26 ქართული მონეტა (აქედან 21 მონეტა ტილოს ქისაში იყო ჩაწყობილი და ნახიდურის პირველი კომპლექსის ერთ-ერთი საცხოვრებელი ქვაბის იატაკის თიხატკეპნილში, ზედაპირის მახლობლად განძის სახით ჩაფლული). ამ მონეტებიდან უადრესი მეფე გიორგი III-ის მიერაა მოჭრილი 1174 წელს, ხოლო უგვიანესი მეფე რუსუდანის მიერ, 1227 წელს. დაახლოებით ამავე ეპოქას, XIII საუკუნის დასასრულს განეკუთვნება ზურტაკეტის ქვაბთა პირველ კომპლექსში აღმოჩენილი, თბილისში მოჭრილი ვერცხლის მონეტა (ე.წ. „ყანური").[17]

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის ქვაბთა ამ კომპლექსებში მიკვლეული ცხოვრების უკანასკნელი ეტაპის ნივთიერი მასალა, გარდა იმისა, რომ საკმაოდ დამაჯერებლად განსაზღვრავს ამ ძეგლთა ხელმეორედ ათვისების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტებს გვაწვდის XII-XIV საუკუნეების ქვემო ქართლის და საეროოდ, საქართველოს სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის გაძღოლის მრავალი ასპექტის თაობაზე.

დავუბრუნდეთ აღნიშნულ ძეგლთა ფუნქციის შესახებ ზემოთ დასმულ საკითხს. ამ თემაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებას, ისე მრავალრიცხოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ მტრის შემოსევებისას სახიზრებში თავშეფარებული მოსახლეობის მიერ იქ წყლისა და სურსათის მარაგთან ერთად

---

[16] გ. ჯალაბაძე, ქსოვილთა ფრაგმენტები დაღეთისა და ნახიდურის გამოქვაბულებიდან. ძეგლის მეგობარი, 1992. 1, თბ., გვ. 61-65; M. Eiland, Archaelogical Evidence of Early Carpets in Georgia, Hali, No. 99, 1998, გვ. 57-59.

[17] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

არსებობისათვის აუცილებელი ნივთების ან თუნდაც განსაკუთრებით ღირებული ნაკეთობების გარკვეული რაოდენობის შეტანა სავსებით ლოგიკურად გამოიკვეთება, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ ძირითადი საცხოვრებლებიდან თავშესაფრად გამოყენებულ ამ ქვაბებში გადაეტანათ მთელი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარი. ამ კომპლექსებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შემადგენლობა კი სწორედ ასეთ ყოველისმომცველ ნივთიერ გარემოცვაზე მიგვანიშნებს. ეს სრულიად ბუნებრივ კითხვას ბადებს: განა რამდენი დრო უნდა ჰქონოდა მოსახლეობას გახიზვნისას, რომ თავშესაფარ ქვაბებში შეეზიდათ როგორც დიდძალი თიხის ნაწარმი (დაწყებული მოზრდილი დერგებით და დამთავრებული უნატიფესი სუფრის ჭურჭლით), ისე სოფლის მეურნეობისა თუ ხელსაქმისათვის აუცილებელი მოწყობილობანი? ან შეეძლოთ კი იმის პროგნოზირება, რომ სამალავებში მეტად ხანგრძლივად მოუწევდათ ცხოვრება?

დავუშვათ, ასეთი სამზადისი სახიზრებში ცხოვრებისთვის თეორიულად მაინც დასაშვებია. სამაგიეროდ, ამ კომპლექსთა თავდაცვით ფუნქციას დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დროთა განმავლობაში წყობიდან გამოსული ნივთიერი მასალის რაოდენობა და სათავსებში განფენა, რაც აქ მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიმდევარი მოსახლეობის არაერთი წლის განმავლობაში ბინადრობაზე მეტყველებს.

არქეოლოგიურმა კვლევამ ამ სოფლების მცხოვრებთა ეკონომიკის საფუძველზეც შეგვიქმნა წარმოდგენა, წარმოაჩინა მათი სამეურნეო საქმიანობის ძირითადი თუ დამხმარე მიმართულებები.

მოპოვებული ნივთიერი მასალის ანალიზით გამოირკვა, რომ კლდის სოფლების მოსახლეობა მისდევდა როგორც მიწათმოქმედებას (მემინდვრეობას, მევენახეობას, მებაღეობას), ისე მესაქონლეობას (მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის და ღორის მოშენებას). შინამრეწველობის და ხელსაქმის დარგებიდან დადასტურდა მეთუნეობის, ხის ნივთების ხვეწის, ძვლის და ტყავის ნივთების დამზადების, მჭედლობის, ხალიჩა-ფარდაგებისა და ტანისამოსის ქსოვის ნიშნები. სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკურ მდგომარეობაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა მონადირეობის შედეგად მოპოვებულ პროდუქციასაც.

წარმოების ჩამოთვლილი დარგების პროდუქციის გარკვეული წილი, ალბათ, სასაქონლოდაც მზადდებოდა, რაზეც საცხოვრებლებში აღმოჩენილი ფული მეტყველებს – თუნდაც პრიმიტიული სავაჭრო ურთიერთობების გარეშე, სოფლის რიგით ბინადართა არაერთ ქვაბ-საცხოვრისში მათი მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა.

ამ სოფლების მკვიდრ ოჯახთა სოციალურ სტრუქტურაზე შემდეგი შეხედულება შეგვექმნა. ქართლის ამ კლდის სოფლების პრაქტიკულად თითოეულ საცხოვრებელ ოთახში, რომლებიც ზომით შუა საუკუნეების თვალთახედვით საშუალო, 2-3 თაობიანი, მაქსიმუმ 5-10 წევრიანი ოჯახის ბინადრობისთვის თუ გამოდგება, დაფიქსირებულია ზემოთ აღნიშნული ტიპის კერა ან თონე კერა – ეს გარემოება იმას მიგვანიშნებს, რომ ასეთი „მიკრო-ოჯახები" ერთმანეთისგან პრაქტიკულად დამოუკიდებელ ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობას მისდევდნენ. ამრიგად, ამ სოფლების სავარაუდო სოციალური სტრუქტურა არ ეთანხმება ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულ თეორიას, რომლის მიხედვითაც გვიან შუა საუკუნეებში და XIX ს-ის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული, გაუყოფელი პატრიარქალური ტიპის ოჯახების ერთ კომლად ბინადრობის წესი, თითქოსდა განვითარებულ შუა საუკუნეებში გავრცელებული ტრადიციით იყო ნასაზრდოები.[18]

[18] თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967.

უნდა ითქვას, რომ გლეხთა ცალკეული ოჯახების ასეთივე მცირე ზომის საცხოვრებელ ოთახებში ბინადრობა დადასტურებულია საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების მრავალი ქვით ნაგები ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრის დროსაც (მაგ., ნაჭივჭავები).[19] ეს ყოველივე იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გლეხების გაუყრელი ოჯახების ერთ კომლად ბინადრობა შედარებით გვიანდელი მოვლენაა; შესაძლოა ცხოვრების ასეთი წესის ჩამოყალიბება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში შექმნილი ექსტრემალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე იძულებითი შედეგი ყოფილიყო (მაგ., ამის შედეგად მოხერხდებოდა თითოეულ კომლზე ბეგარის ხელოვნური შემცირება; მტრის მცირე რაზმების მოულოდნელი თავდასხმის ერთობლივად მოგერიება და სხვ.).

კლდის სოფლებში ცალკეული ოჯახების საცხოვრებელი ქვაბ-სათავსების გეგმარება, რაიმე მკვეთრად ჩამოყალიბებულ კანონზომიერებას ან სქემას არ ემორჩილება. ზოგიერთი ოჯახი სადა ფორმის, დაუნაწევრებელ ქვაბში ბინადრობდა და თითოეულ საყოფაცხოვრებო-ტექნოლოგიურ პროცესს ამ ერთიან სივრცეში ჰქონდა მიჩენილი გარკვეული ზონა: საკვების მოსამზადებელ-მისაღები, ხელსაქმის წარმოების, საძინებელი და სხვ. მეორე მხრივ, იმავე სოფლებში გვხვდება კლდის სახლები, სადაც საცხოვრებელ ოთახებს ძირითადი სივრციდან მეტ-ნაკლებად განცალკევებული ნიშა-ფართები ან, სულაც, დამატებითი სათავსები გააჩნიათ. ასეთ საცხოვრებელ ჯგუფებში ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური მეთოდებით ხერხდება ძირითადი ქვაბების ცალკეული ზონების თუ დამატებითი ფართების ფუნქციური დიფერენციაცია. მაგ., მოპოვებული ნივთიერი მასალა ადასტურებს, რომ მცირე ზომის ნიშები, გამომდინარე მათი კონფიგურაციიდან, უფრო ხშირად საწყობია ან ოჯახის წევრთა ერთი ნაწილის საძინებელი ფართობის მოვალეობას ასრულებდა. ამის კარგი მაგალითია ნახიდურის მეორე კომპლექსში მიკვლეული ქვაბოვანი საცხოვრებლის მცირე ზომის განშტოება, რომლის ერთი კედლის გასწვრივ, დაწოლილი ადამიანის სიგრძეზე, სრულად შემორჩენილი აღმოჩნდა აღნიშნული ეპოქის ლოგინი: აქ თიხით კარგად მოტკეპნილ იატაკზე სქლად ყოფილა გაშლილი თივა, რომელზედაც თექის და ფარდაგის ნაჭრები იყო დაფენილი. საწოლის მახლობლად მოწყობილი ყოფილა ადგილზე გამომწვარი თიხის, წრიული ფორმის კერა, რომლის დანიშნულებას უთუოდ ამ „საძინებელი ოთახის" გათბობა წარმოადგენდა (სახ. 11).

გაცილებით უფრო კარგად არის ხოლმე შემონახული და ადვილად ამოსაცნობიცაა კვების პროდუქტების საწყობებად გამოყენებული ნიშა-სათავსები. მათი იატაკების ზედა კულტურულ ფენებში ხშირად არის შემორჩენილი სქელკეციანი თიხის ჭურჭლის, ქვევრების და დერგების ფრაგმენტები, კლდეში ამოკვეთილი სასურსათო ორმოები ან ქვევრის ძირების ჩასადგმელი ფოსოები. აქვე, როგორც წესი, ხშირად გვხვდება ხოლმე ხმარებისგან დაზიანებული სამზარეულოს და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები ცეცხლის ხანგრძლივად მოქმედების კვალით.

ქვემო ქართლის კლდის სახლების ფარგლებში დანამდვილებით გამოხატულ, სტაციონარულ სანიტარულ-ჰიგიენურ მოწყობილობებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ (თუ არ ჩავთვლით სანაგვედ გამოყენებულ ორმოებს). თუ მხედველობაში მივიღებთ ამ სოფლების არქეოლოგიური შესწავლისას მიკვლეულ, მოსახლეთა მაღალ ჰიგიენურ კულტურაზე მიმანიშნებელ ნივთიერ მასალას (სანელსაცხებლე ჭურჭელი, სავარცხლები, კოსმეტიკური მაკრატელი და სხვ.), უნდა ვიფიქროთ, რომ სანიტარული დანიშნულების ზონები (მაგ., საპირფარეშოები) დასახლებათა

[19] ი. გრძელიშვილი, ნაჭივჭავების არქეოლოგიური თხრის შედეგები. საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, XVII, 7, 1956. გვ. 41-62.

სტრუქტურაში უთუოდ იქნებოდა ჩართული, ოღონდ საცხოვრებელი ქვაბ-სათავსებისგან ოდნავ მოშორებით, უფრო ქვაბებისწინა ტერასების კიდეებში.[20]

საერთოდ, აღნიშნული ტერასები მხოლოდ გასავლელი შუკების როლს ოდენ ასრულებდა ამ სოფელთა სტრუქტურაში – ისინი ინტენსიურად ყოფილა ათვისებული საყოფაცხოვრებო მიზნით კლდის სახლთა ბინადრების მიერ (თუკი მათ ამისთვის საკმარისი სიგანე გააჩნდათ). არქეოლოგიური კვლევის შედეგად მრავალგზის დადასტურდა იმის ნიშნები, რომ ქვაბოვანი სათავსების წინ ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი ფარდულების თუ დერეფნების ტიპის სადგომები იყო მოწყობილი (ნახ. 12). საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კლდის სახლების ბინადარნი, აქტივობისა და დასვენებისთვის ასეთ დერეფნებს, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ალბათ, მეტად ინტენსიურად იყენებდნენ. მაგ., ზურტაკეტის ხეობის №1 კლდის სოფლის ტერასათა არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა კლდის სახლების ინტერიერებში არსებული საყოფაცხ-ოვრებო მოწყობილობების ასეთ დერეფნებში დუბლირების შემთხვევები: ერთი და იმავე ხანის და ტიპის თონე-კერიები მოწყობილი ყოფილა როგორც საცხოვრებელ ქვაბებში, ისე მათ წინ, ოდესღაც ხის კონსტრუქციებით შემოფარგლულ და გადახურულ ტერიტორიებზე. ამავე ფაროობებზე დადასტურდა აქტიურ სამეურნეო საქმიანობაზე მიმანიშნებელი, მძლავრი კულტურული ფენები.

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის კლდის სოფლების ბინადარნი ყოფაცხოვრების სტილითა თუ სამეურნეო საქმიანობით, პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებოდნენ განვითარებული შუა საუკუნეების დანარჩენი, ასე ვთქვათ, „ჩვეულებრივი" ტიპის სოფლების მცხოვრებთაგან. მათ შორის სხვაობა მხოლოდ საცხოვრებელთა აღნაგობასა და ხუროთმოძღვრულ სტრუქტურაში მდგომარეობს. ამასთან, რიგ შემთხვევებში ამ კლდის სოფელთა მცხოვრებნი შეძლებისდაგვრად ცდილან თავიანთი კლდის სახლები ჩვეულებრივი, ქვის სახლებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით აღეჭურვათ. ამის დასტურია თუნდაც აღნიშნული დერეფნების მოწყობა, რაც, როგორც ჩანს, იმთავითვე ქართული ხალხური საცხოვრებლების განუყრელი ატრიბუტი იყო (აკი ასეთი „კარაპნების" სისტემას ვერც ვარძიის ხუროთმოძღვარმა აუარა გვერდი). მიუხედავად ამისა, უძველესი ქვაბების რეკონსტრუქციის გზით, შუა საუკუნეების ქვის სახლების გეგმარების ზედმიწევნითი რეფლექსია აქ შეუძლებელი იყო არა მხოლოდ ძნელად დასამუშავებელი ბაზალტოვანი ქანების გამო, არამედ მეტად დამრეცი რელიეფიდან გამომდინარეც. ალბათ, ამიტომაც არ ცდილან განვითარებულ შუა საუკუნეებში ქვემო ქართლის კლდის სოფლების ბინადარნი, ქვაბსაცხოვრებლები ერდოიან-გვირგვინიანი გადახურვების მინაბაძებით აღეჭურვათ, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ქვის საერო ხუროთმოძღვრებაში ასეთი სისტემები ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო[21] – დაახლოებით იმავე ეპოქის მესხეთის კლდის სოფლებში ხომ სახურავების გვირგვინული იმიტაციებით გაფორმება არცთუ იშვიათ მოტივს წარმოადგენდა.[22]

სწორედ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო, ქვემო ქართლის კლდის სოფლების საბოლოო გარეგნული სახე განვითარებულ შუა საუკუნეებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ეთნოგრაფიულად დადასტურებულ კომპაქტურ,

---

[20] როდესაც ქვემო ქართლის კლდის სახლების სანიტარულ-ჰიგიენურ ვითარებაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ, როგორც წესი, ასეთი სოფლები კლდოვანი ფლატეების იმ მონაკვეთებში იყო მოწყობილი, საიდანაც ერთი ან რამდენიმე წყარო გადმოედინებოდა და ეს ფაქტორი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების გარდა მის ბინადართა სანიტარულ პრობლემათა მოგვარებასაც უწყობდა ხელს.

[21] Л. Сумбадзе, Архитектура грузинского народного жилища дарбази, Тб., 1984.

[22] გ. გაფრინდაშვილი, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, თბ., 1957.

მთის კალთებზე ტერასებად განაშენიანებულ დასახლებებს უფრო ენათესაებრ, ვიდრე ამ რეგიონისთვის ისტორიულად დამახასიათებელ, შედარებით გაშლილ ეზო-კარიან სოფლებს.

როგორც ჩანს, განვითარებული შუა საუკუნეების ქვემო ქართლის კლდის სოფელთა გეგმარებაში, ერთმანეთს ხვდება ორი, განსხვავებული ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ჩვეულები, რაც განაპირობებს კიდეც მათ უნიკალურობას.

რა გარემოებანი შეიძლება გამხდარიყო შუა საუკუნეების ქვემო ქართლის მოსახლეობის ამ ნაწილის მიერ უძველესი ქვაბოვანი კომპლექსების აქტიური რეოკუპაციის მიზეზი?

ამ კითხვაზე პასუხისას არსებობს ერთი საცდური – ვინაიდან ამ კლდის სოფლების არქეოლოგიური კვლევისას მოპოვებული ნივთიერი მასალის უდიდესი ნაწილი XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეს განეკუთვნება, ამასთან მათში ცხოვრება სწორედ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზეა შემწყდარი გარეშე მტრის ექსპანსიის შედეგად, ჩნდება აზრი იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ამ მხარის მოსახლეობის ნაწილის შედარებით კარგად გამაგრებულ კლდის სოფლებში მიგრაცია, ქვეყანაში შექმნილი ხანგრძლივი პოლიტიკური დესტაბილიზაციის შედეგი ყოფილიყო. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული პერიპეტიების შესახებ მემატიანეთა მონათხრობებში და თვით თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების აღწერებში ხომ საკმაოდ ხშირად გვხვდება ეპიზოდები საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის ქვაბებში გახიზვნის შესახებ.[23]

ასეთი მსჯელობა თეორიულად მისაღებია და ნაწილობრივ, ალბათ, შეეფერება კიდეც რეალობას, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი ფაქტები.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კლდის ძეგლების არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა იმას მეტყველებს, რომ მათი ინტენსიური რეოკუპაცია შედარებით ადრე უნდა დაწყებულიყო. ქვაბოვანი სახლებისა თუ სამეურნეო სათავსების იატაკების გათხრისას აღმოჩენილი ნივთიერი მასალა საკმაოდ მოიცავს საქართველოს სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური აყვავების ხანაში, XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში დამზადებულ ნაკეთობებს. მრავლისმეტყველია ის გარემოებაც, რომ ამ კლდის სოფელთა არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული 30-მდე სპილენძის ქართული მონეტიდან მხოლოდ ერთი განეკუთვნება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნას, დანარჩენი კი XII საუკუნეში და XIII საუკუნის პირველ ნახევარშია მოჭრილი.

რამდენად რეალურია ამ რიგის მასალის XIV-XV საუკუნეების ყოფაში მოხმარების შესაძლებლობა? ცხადია, გარკვეულ რაოდენობას XII საუკუნეში დამზადებული ნივთებისა შესაძლოა XIV საუკუნემდეც მიეღწია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არასგზით არ ეხება ნუმიზმატიკურ მასალას, ამასთან, თიხის ნაწარმისთვის თითქმის 300-წლიანი უწყვეტი მოხმარება დიდ იშვიათობას წარმოადგენს, თანაც ასეთი დაშვება სრულიად არ შეესაბამება ჩვენს მიერ დაფიქსირებულ არქეოლოგიურ სურათს. განათხარი ფართობების სტრატიგრაფია მოწმობს, რომ კლდის სოფელთა უმრავლესობაში აღნიშნული, ადრეული ეტაპის მასალა (მონეტების გარდა), დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ძირითადად ხმარების დროს მწყობრიდან გამოსული ნივთების შესაძლო კონცენტრაციის ადგილებში: იატაკების მოტკეცნილობებში, ცხოვრების დროსვე გაუქმებულ სამეურნეო ორმოებსა და თონე-კერიებში, ნაგავსაყრელ ადგილებში.

რაც შეეხება XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნისთვის ტიპიურ არქეოლოგიურ მასალას, ეს ნაკეთობანი ძირითადად სხვაგვარ სტრატიგრაფიულ

---

[23] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959. გვ.151-325.

ვითარებაშია აღმოჩენილი: მათი დიდი უმრავლესობა მოხმარებული ყოფილა უშუალოდ კლდის სოფლებში ცხოვრების საბოლოოდ შეწყვეტის წინა პერიოდში და მტრის მიერ ამ ქვაბების დარბევის შედეგადაა დაზიანებული და მიმოფანტული (ამ მასალაში ბრძოლის დროს ნატყორცნ მონღოლური ტიპის ისრისპირების და შურდულის ქვებსაც ხშირად ვხვდებით). ეს არქეოლოგიური სურათი სავსებით ეთანხმება ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე თემურ-ლენგის ლაშქარს ქვემო ქართლი რამდენჯერმე ისე აუოხრებია, რომ ამ მხარეში საომარი მოქმედებისას დახოცილთა დამმარხავებიც აღარ დარჩენილან (ჩვენს ძეგლებზე ამ მოვლენის პირდაპირ დამადასტურებელი ფაქტებიც აღმოჩნდა – ადამიანთა ადგილზე ჩაკეცილი, დაუმარხავი ნეშტები).

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის კლდის სოფლების დიდ უმრავლესობაში ცხოვრების საბოლოოდ შეწყვეტის მიზეზების და ხანის შასახებ, ამ ძეგლების არქეოლოგიური კვლევის შედეგები პრაქტიკულად ცალსახა პასუხს იძლევა, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებულ შუა საუკუნეებში მათში ცხოვრების აღორძინების ვითარებაზე.

ჩვენი აზრით, ქვემო ქართლის დიდი ხნის წინათ მიტოვებულ ქვაბთა კომპლექსების რეოკუპაციას განვითარებულ შუა საუკუნეებში რამდენიმე ობიექტურმა გარემოებამ შეუწყო ხელი. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოს არნახული პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც XI-XII საუკუნეთა მიჯნიდან დაიწყო და რომელმაც საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა. ცნობილია, რომ ამ „ოქროს საუკუნეს" საქართველოში მოსახლეობის სწრაფი ზრდა, „დემოგრაფიული აფეთქება" მოჰყვა.[24] ამ ეპოქაში, ჩვენი წინაპრები, ალბათ, იძულებულნი გახდნენ, განსაკუთრებული ზრუნვა გამოეჩინათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რითაც არცთუ ისე მდიდარია საქართველო. ვისაც კი ქვემო ქართლის მდინარისპირა პლატოებზე და დაბლობებზე ისტორიული ძეგლების მოძიების მიზნით უმოგზაურია, უთუოდ შეამჩნევდა, რომ შუა საუკუნეების ნასოფლარები ამ ფართობებზე დიდი სიმჭიდროვითაა მიმოფენილი. როგორც ჩანს, დაახლოებით XII საუკუნისთვის დადგა მომენტი, როდესაც სახნავ-სათესებად ვარგისი მიწების სამოსახლოებად შემდგომი გამოყენება ფრიად ნეგატიურ მოვლენებს გამოიწვევდა ეკონომიკაში, ამიტომ ჭარბმოსახლეობამ ამ მიზნით მიწათმოქმედებისა და საძოვრებისათვის გამოუსადეგარი, კლდოვანი ფერდობების ათვისება დაიწყო.

შესაძლოა, სწორედ ამ დროს მიიპყრო ქვემო ქართლის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ყურადღება მდინარეთა კლდოვან კანიონებში არსებულმა უძველესმა ქვაბოვანმა კომპლექსებმა. გარდა აღნიშნული იძულებითი ნაბიჯისა, ქვაბებში სოფლების მოწყობა, ალბათ, იმ დადებითმა საყოფაცხოვრებო ფაქტორებმაც გამოიწვია, რაც თავის დროზე გათვალისწინებული ექნებოდათ ამ უძველესი დასახლებების პირველ ბინადრებს: მდინარესთან და სარწყავი მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგ სამეურნეო ტერასებთან სიახლოვე; კომპლექსების ფარგლებში კლდიდან გადმონადენი წყაროები; თუნდაც ზემოთ არაერთხელ აღნიშნული, შედარებით მოხერხებული საფორტიფიკაციო პოზიცია. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთ მზამზარეულ ქვაბოვან კომპლექსებში შრომის მინიმალური დანახარჯით შეიძლებოდა საკმაოდ კომფორტული საცხოვრებელი გარემოს მოწყობა, გასაგები გახდება, რომ ამ ეპოქის ქვემო ქართლის რიგითი მცხოვრებნი მაინცდამაინც არ უნდა შეეწუხებინა ჩვეული ტიპის, ქვის სოფლებიდან ასეთ ადგილმონაცვლეობას.

---

24. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1983.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ეს ხანმოკლე, შედარებით უშფოთველი მონაკვეთი, სულ მალე მრისხანე დამპყრობლების, მონღოლების ლაშქრობებმა შეცვალა, ხოლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ისედაც დაქვეითებული ქვეყნის გაჩანაგებას თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა დაუსვა წერტილი.

როგორც ჩანს, ქვემო ქართლის მოსახლეობის ნაწილი XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეში, მტრის გახშირებული შემოსევების კვალდაკვალ, კიდევ უფრო მეტად მიილტვოდა გამოქვაბული საცხოვრებლებისკენ და კლდის სოფლების მისადგომებს ახალი თავდაცვითი სისტემებით ამაგრებდა. სამწუხაროდ, როგორც ჩვენს მიერ არქეოლოგიურად დაფიქსირებულმა, მტრის მიერ გაჩანაგების სურათმა დაგვანახა, ძლიერი მომხვდური ლაშქრის წინააღმდეგ ამ კლდის სოფლების დიდი ნაწილის არცთუ მომგებიანი საფორტიფიკაციო პოზიციები უძლური გამოდგა.

Resume

Nodar Bakhtadze

Rock Villages in Kvemo (Lower) Kartli in High Middle Ages

The article is focused on the function and provenance of the rock-cut complexes discoverd in the river gorges in Kvemo (Lower) Kartli, one of the historic provinces of Georgia. Based on the architectural analysis of these monuments and results of the archaeological excavations, the author ascertains that in High Middle Ages they sheltered secular settlements - villages.



ნახ. 1. სამშვილდის ქვაბები. ჭიეჭავის ხეობის კომპლექსი.
ვიზუალური განშლა. სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 2. წინწყაროს მიდამოების ქვაბთა კომპლექსი. ვიზუალური განშლა. სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები.

ნახ. 3. ნახიდურის ქვაბთა II და III კომპლექსები.
ვიზუალური განშლები



ნახ. 4. ნახიდურის ქვაბთა I კომპლექსი.
სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 5. ნახიდ'ურის ქვაბთა IV კომპლექსი.
სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 6. ნახიდურის ქვაბთა II კომპლექსი. სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები





ნახ. 7. ნახიდურის ქვაბთა II კომპლექსი.
ციხე-ქვაბის გეგმა და ჭრილი



ნახ. 8. თავგურგალას ქვაბთა II კომპლექსი.
სათაესთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 9. თრიალეთის ახალქალაქის ქვაბთა I კომპლექსი.
სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 10. ზურტაკეტის ქვაბთა IV კომპლექსი.
ვიზუალური განშლა. სათავსთა ჯგუფის გეგმები და ჭრილები



ნახ. 11. ნახიდურის ქვაბთა მეორე კომპლექსი.



ნახ. 12. ნახიდურის ქვაბთა მესამე კომპლექსი.
ფასადის საკარაუდო რეკონსტრუქცია.